პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 189 (4699)

1972 წ. 23 სექტემბერი შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

ეკრანზეა „მსოფლიო ჩემპიონი“

ლიუდმილა ტურიშჩევა მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი გაადა ტანვარჯიშულ მრავალჭიდში. ამ შესანიშნავ სპორტსმენზე მოვითხრობს რეჟისორი ი. გელეინისა და ოპერატორ ი. ლეონგარდტის დამუშავარი (სცენარის ავტორია ნ. კოლესნიკოვი), რომელიც დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შეიქმნა.

17 წლის ლ. ტურიშჩევა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა სპორტულ ტანვარჯიშში. მაშინ, 1970 წელს, იგი მოსწავლე იყო, ახლა კი უნივერსიტეტის სტუდენტია. 1971 წელს ტურიშჩევამ ევროპის თასი მოიგო, ხოლო ოლიმპიადის წელიწადს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სსრ კავშირში ბადალი არა ჰყავს.

ტურიშჩევას ბედმა გაუღიმა: მისი სპორტული გზა ბავშვობაშიე დაემთხვა გამოცდილი და საქმიანი აღმზრდელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. რასტოროცკის გზას. გროზნოს ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზიდან მათ ერთად იარეს მსოფლიო და ოლიმპიური სარბიელისკენ.

თანამედროვე ტანვარჯიშის ურთულეს სამყაროში ტურიშჩევას ვარჯიშები ყველას ანცვიფრებს გამოკვეთილობითა და სიმსუბუქით. 19 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონმა გაცილებით მეტი გამოსცადა, ვიდრე მისმა თანატოლებმა. ლიუდამ იცის დიდების გემოც, ბევრჯერ განიცადა გამარჯვების სიხარულიც და, რა თქმა უნდა, მარცხის სიმწარეც. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ის, რომ ამ მღელვარე სპორტულ ცხოვრებაში იგი ფელეტონურად შშვიდი და გამიზნული რჩება.

თანამედროვე სპორტში გამარჯვებები წარმოუდგენელია მძიმე ნრომის გარეშე. ეკრანზე ჩვენ ვხედავთ ტანმოვარჯიშის წვრთნას, ყოველდღიურ ცხოვრებას და შეჯიბრებებში მონაწილეობას. სულ 4 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 15 წლის გოგონამ პირველად მიღო სპატიო ჯილდო — სსრ კავშირის თასი და აი, 19 წლის გროზნოელი სტუდენტი ლ. ტურიშჩევა ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონია.

ბევრ საინტერესო კადრს ნახავს მაყურებელი ამ სასიამოვნო ფილმში, რომელსაც „მსოფლიო ჩემპიონი“ ეწოდება.

ბ. რატომსკაია.

მოსკოვი.







• • •

კადრები კინოფილმიდან: ლ. ტურიშჩევა; ოლიმპიური ჩემპიონი საწვრთნელი მეცადინეობის დროს; ტურიშჩევა და მისი მწვრთნელი ვ. რასტოროცკი; გროზნოელი ტანმოვარჯიშე ასპარეზობისას.

მაღალი ჯილდო

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისთვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ᲙᲝᲜᲘᲙᲘᲡᲯᲔᲯᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 21 სექტემბერი. „ჰაიზელის“ სტადიონზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიო რეკორდებმა დაამშვენა.

10 კილომეტრზე რბენაში მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ლუციენელმა მეგალემ ემილ პუტემანსმა ამჯერად 5-კილომეტრიან დისტანციაზე ნეუტია მსოფლიო რეკორდს. იერიში წარმატებით დამთავრდა: პუტემანსმა 13 წუთისა და 13 წამის შემდეგ გადაკვეთა ფინიშის ხაზი და 3.4 წამით გაუმჯობესა ამ რამდენიმე დღის წინათ XX ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის, ფინელი ლასე ვირენის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ასპარეზობის მხვლელობისას ბელგიელმა მძლეოსანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3-მილიან დისტანციაზე — 12.47,8 (ძველი მიღწევა — 12.50,4 — აგერ უკვე 8 წელია ავსტრალიელ რონ კლარკს ეკუთვნოდა).

გარბენში პუტემანსს „ეხმარებოდა“ სტაიერთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ცნობილი ინგლისელი მძლეოსანი დევიდ ბრედფორდი ედგა. მესამე კილომეტრიდან პუტემანსი მძლავრი ბიძგით წინ ავიჭრა და ძალიანაც დაწინაურდა.

„გმადლობთ, ემილ!“ — ხმაზეწყობილად ამხნევებდა სტადიონზე მოსული 10 ათასი მაყურებელი თანამემამულე მძლეოსანს.

შემდეგი გარბენის გმირად ბელგიის მძლეოსნობის ვეტერანი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 35 წლის გასტონ რულანტსი მოგვევლინა. მან მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა: — ერთსაათიან რბენაში — 20 კმ 784 მ (მისივე ძველი მიღწევა 20 კილომეტრსა და 664 მეტრს უდრიდა) და 20-კილომეტრიან მანძილზე — 57.44,4 (ძველი მიღწევაც — 58.06,2 — რულანტსს ეკუთვნოდა). რბენაში რულანტსის „კომპანიონმა“, ახალგაზრდა ლიეჟელმა სტაიერმა ვილი პოლენიუსმა კანადელი ჯონ დრეიტონის მსოფლიო რეკორდი დაამხო, როცა 10 მილზე 46.06,8 აჩვენა.

ბელგიელმა მორბენლებმა მიუნჰენის ოლიმპიადისთვის თავისებური „რევანში“ აიღეს, სადაც მათ ვერც ერთი ოქროს მედლის მოპოვება ვერ შეძლეს.

„სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 20 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 26-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრებიც: 1 (საავიაციო სპორტი), 17 (ხატვრული ტანვარჯიში), 24 (თხილამურები), 33 (რეგბი), 38 (შვილდოსნობა), 44 (ფიგურული ციგურაობა).

ᲡᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ I ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

მიზნისკენ ამურად მიიწევენ

როგორც წინა ნომერში ვწერდით, ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის წყალბურთელთა შეხვედრების მეორე ტურში აზერბაიჯანის იუნიორებმა სომხეთის კოლექტივს სძლიეს. იმ დღეს საქართველოს ნაკრები ისვენებდა. რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ბარნაბიშვილი და მისი გუნდის წევრები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ მეტოქეთა თამაშს. სტარტზე სომხეთის კოლექტივთან წაგებამ ჩვენი წყალბურთელები აზერბაიჯანის გუნდთან შეხვედრის წინ რთული ამოცანის წინაშე დააყენა, მით უმეტეს, რომ სომხეთის გუნდი აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა სამი ბურთის სხვაობით დაამარცხეს.

ერთი სიტყვით, გუშინწინდელმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამთავითვე უნდა ითქვას: მეგობრების ორთაბრძოლა უდავოდ გაალამაზა კორექტულმა თამაშმა და დასვენებულმა ნსაჯობამ (შეხვედრას რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ნიორაძე სჯიდა).

მეტოქენი საუკეთესო ძალებით ჩაებნენ ბრძოლაში. სარბიელზე თავდაპირველად სიფრთხილე გაბატონდა. გუნდები მოსერიებულ დროს ელოდნენ შეტევის წამოსაწყებად. კარში დარტყმა პირველად თბილისელმა ოსტატმა მატალინმა „გაბედა“. ეს იყო მასპინძელთა გააქტიურებისა და სტუმართა დაცვაში შეცდომების დასაწყისი. მე-4 წუთზე სარბიელიდან კრთი წუთით გააძევეს ბაქოელი კუვშინოვი, მაგრამ მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

ჩვენს წყალბურთელებს მაინც ასეთივე ვითარებაში მოუხდათ კარის აღება: მეორე პერიოდის მე-3 წუთზე გოლი გაიტანა არუთინოვმა. წუთსახევრის შემდეგ მანვე ორამდე გაზარდა ანგარიში, პერიოდის მიწურულს კი ბაქოელმა ვაკულოვმა კარგად ისარგებლა რიცხობრივი უპირატესობით და ერთი ბურთი გაქვითა.

ასპარეზობის ბოლო წუთზე აწგარიში გაზარდა ნებიერიძემ — 3:1. განარჯვების დამაგვირგვინებელი გოლი მან მეტად რთულ სიტუაციაში გაიტანა. საგულდაგულოდ ჩაკეტილი კარის მისადგომებთან მან თვალი შეაგლო „სარკმელს“ და ძლიერად ნატყორცნმა ბურთმა მიზანს მიაღწია.

ჩინებულად ჩაატარა მთელი მატჩი რურუამ. ამ დღეს იგი ყველაზე სწრაფი მოცურავე იყო. ეს წყალბურთელი 100 მეტრის გაცურვას წუთზე ნაკლებ დროს ანდომებს და, ცხადია, ყოველი პერიოდის პირველი ბურთი მისი ნაკადული იყო. აღსანიშნავია რთულ მომენტებში ნიორაძის გაგზავნილი თამაშიც.

ამ ტურით დამთავრდა პირველი წრის მატჩები. ახლა ყველაფერი მეორე წრის ორთაბრძოლებზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით კი გუნდები ერთნაირი ბალანსით (თითო მოგება, თითო წაგება) მიიწევენ ფინიშისკენ.

თ. გაჩეჩილაძე.

მთავარი სარბიელი

ბილეთები, ბილეთები, ბილეთები...



სპორტის საოცრად მოყვარულნი გამოდგნენ ბავარიის დედაქალაქის მკვიდრნი. ყოველ შეჯიბრებას, ფეხბურთი იყო ეს, მძლეოსნობა, კალათბურთი, თუ სხვა სახეობა, მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა ესწრებოდა. მიუნჰენის მშვენება კი ახალი ოლიმპიური სტადიონი გახლდათ, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ულამაზესი სპორტული ნაგებობაა დედამიწის ზურგზე.

სპორტისადმი მაყურებელთა სიყვარული ოამაშების ორგანიზატორებმა, რომელთაც ოლიმპიადა ზღაპრულ ფასად დაუჯდათ, საუცხოოდ გამოიყენეს: შეჯიბრებები ისეთნაირად დაანაწევრეს, რომ ერთ სარბიელზე დღის განმავლობაში სამჯერ იყიდებოდა ბილეთი. მაგალითად, ოლიმპიურ სტადიონზე დილის 10 საათზე საფეხბურთო მატჩი იყო დანიშნული. ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ნაშუადღევის 2 საათიდან აქ მძლეოსნები ასპარეზობდნენ და სტადიონი ამ დროსაც სავსე იყო. საღამოს 8 საათზე კვლავ ფეხბურთელთა მატჩი ტარდებოდა. შესაღელელ ბილეთს ამჯერადაც ვერსად იშოვნიდით. ახლა კი იანგარიშეთ: ბილეთი 40-60 მარკა ღირდა. ეს გაამრავლეთ სამზე, მერე 80 ათასზე და მიიღებთ მარტო მთავარი ოლიმპიური სარბიელის ერთი ჩვეულებრივი დღის შეჯამებას!

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნჰენი — თბილისი.

* * *

სურათზე: მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონის საერთო ხედი ერთ-ერთი ასპარეზობის დროს.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის შ. ზარგარიანის ფოტო.

სპორტული ოსტატობის სკოლა

ამას შემდეგ, რაც 16 წლის ერევნელმა ედვარდ მიქაელიანმა საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შესარჩევ შეჯიბრებაში ჯიმარჯვა, იგი სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ჩარიცხეს. ამ ცნობამ გაახარა ერევნელები. საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც დიდი სპორტი ცნობიერი სომეხი ტანმოვარჯიშეების პლეადამ მიატოვა, მისი მემკვიდრეები მოკრძალებულ ადგილებს სჯერდებოდნენ საკავშირო ტურნირებში.

მაგრამ ედვარდის წარმატებით განსაკუთრებით მოხარული იყო სომხური სპორტის ვეტერანი, ოლიმპიური ოამაშების, მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი გრანტ შაგინიანი: მიქაელიანი ხომ ერთ-ერთი აღსაზრდელია ერევნის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა სკოლისა, რომელიც შაგინიანმა შექმნა ამ 15 წლის წინ.

— ასეთი სკოლის ჩამოყალიბებაზე ოცნება ჯერ კიდევ მაშინ ჩამესახა, როცა მაგრად ვიჯექი უნაგირზე (ტაიჭი შაგინიანის საყვარელი იარაღი იყო), — იხსენებს გრანტი, — მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ნელ-ძალებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოსვლებს თავი მივანებე. რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ თაოსნობას.

საერთოდ, ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც ბავშვები სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობენ, ერევანშიც და ქვეყნის სხვა ქალაქებშიც ბევრია. მაგრამ „შაგინიანის სკოლა" (ასე უწოდებენ აქ მას) საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველია, სადაც მხოლოდ ერთი პროფილის ნორჩ სპორტსმენებს ზრდიან, ამ შემთხვევაში — ტანმოვარჯიშეებს.

როგორი იყო დასაწყისი?

— სკოლაში შესვლის მსურველი ძალიან ბევრი იყო, — იგონებს შაგინიანი. — იქნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ერევნელი დედებისა და მამების თითქმის ნახევარმა უეცრად ირწმუნა, რომ მათი შვილები (ჩვენ მ წლის ნორჩებს ვლებულობდით) უეჭველად ტანმოვარჯიშეები უნდა გახდნენ და თანაც ისეთები, როგორიც, ვთქვათ, ალბერტ აზარიანი გახლდათ. მაგრამ შერჩევა ძალიან მკაცრი იყო. კარგი აღნაგობა, მოქნილობა, მხტომელობა, მოძრაობების კოორდინაცია, მუსიკალობა, — ყოველივე ეს მხედველობაში გვქონდა.

გამოცდილმა ტანმოვარჯიშეებმა გურგენ მნაცაკანიანმა, აზნივ გრიგორიანმა, ჯემა სააკიანმა, ლეონიდ ზაზარიანმა შაგინიანთან ერთად შეიმუშავეს მეცადინეობების მეთოდიკა. ეს მეთოდიკა მოითხოვდა, რომ ნორჩ ტანმოვარჯიშეებს ყველაზე მარტივი, ელემენტარული მოძრაობებიდან და გარჯიშებიდან უფრო რთულისკენ გაეცალოთ გზა. თავდაპირველად ბავშვებისგან ყველაზე მარტივს მოითხოვდნენ: ბურთის ერთმანეთისთვის გადაგდებას, ფეხის წვერების გაჭიმვას, კოტრიალს, შემდეგ — სპეციალურად დამუშავებული ვარჯიშების შესრულებას, ქორეოგრაფიის ანბანის დაუფლებას. ყოველივე ეს ბავშვებმა დაუძაბავად, სიამოვნებით უნდა შეასრულონ — ასეთია პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პირობა.

...დღეს „შაგინიანის სკოლა" მოთავსებულია საგანგებოდ მისთვის აშენებულ ორ კორპუსში. ეარდისფერი ტუფისგან აგებულ ამ შენობაში განლაგებულია ტანვარჯიშისა და აკრობატიკის ორი დიდი დარბაზი, ბევრი სპეციალური კაბინეტი და სასწავლო ოთახი, სამედიცინო კომპლექსი, ბიბლიოთეკები, დათვალიერების დარბაზი და ა. შ.

სკოლაში ასწავლიან გამოცდილი მწვრთნელები და მასწავლებლები, რომლებიც სპორტულ სამყაროში ძლიერ ტანმოვარჯიშეებად და ავტორიტეტულ სპეციალისტებად არიან ცნობილი. მაგალითად, ლ. ზახარიანი რამდენიმე ხანს მუშაობდა ბულგარეთში — ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდს საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის ამზადებდა. ა. გრიგორიანი პირველი სომეხი ქალია, რომელმაც საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. იგი ყველაზე პატარებს ამეცადინებს.

შაგინიანი თანაშემწეებთან ერთად მოთმინებითა და სიყვარულით დღითიდღე აცნობს ბავშვებს სატანვარჯიშო ტექნიკის საიდუმლოებებს, ასწავლის საკუთარი სხეულის დაუფლების ოსტატობას, აღსაზრდელებში ძალასა და სიმარდეს ავითარებს. ახლა სკოლაში ოთხასზე მეტი მოსწავლეა. ყოველ მათგანზე შედგენილია ილუსტრირებული ალბომი, დაწერილებითი სპორტული ბიოგრაფია, სადაც ასახულია სკოლაში ნორჩი ტანმოვარჯიშის ყოველი ნაბიჯი, დაწყებული სწავლების პირველი დღეებიდან.

სპორტული სკოლის მასწავლებლებს მუდმივი კავშირი აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სადაც მათი აღზრდილები მეცადინეობენ. სპორტ-სკოლის პედაგოგებს ყველაფერი აინტერესებთ: შეფასებები, საზოგადოებრივი დავალებები, რომელთაც ბავშვები ასრულებენ, მათი ყოფაქცევა ოჯახში, არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, ყოველი ცუდი მოქცევა მუდამ მსჯელობის საგნად იქცევა ხოლმე. ეს იმიტომ, რომ „შაგინიანის სკოლაში" ცდილობენ აღსაზრდო არა მარტო სპორტის ოსტატი, არამედ, პირველ ყოვლისა, ადამიანი, რომელიც სხეულითაც და სულითაც ლამაზი იქნება.

ნორჩ ტანმოვარჯიშეებს უვითარებენ კარგ გემოვნებას, ცდილობენ მშვენიერების სამყარო გადაუშალონ. სკოლის აღსაზრდელები ხშირად ესწრებიან საბალეტო სპექტაკლებს, მასწავლებლებთან ერთად მათ იშვიათად რადი ნახავთ სამხატვრო გამოფენებზე.

ზაფხულობით, არდადეგების დღეებში, სკოლის აღსაზრდელები მიემგზავრებიან თავიანთ საუკეთესოდ მოწყობილ საზაფხულო ბაზებზე, რომლებიც განლაგებულია სომხეთის თალწარმტაც ადგილებში — სტეპანავანსა და წაჩკაძორში. აქ ბავშვები ცურავენ, მზეზე ირუჯებიან, ტურისტულ ლაშქრობებში დადიან. საზაფხულო ბანაკებში ჩინებული ბიბლიოთეკები და კინოდარბაზებია. თითქმის ყოველ საღამოს მსჯელობენ წაკითხული წიგნის ან ნანახი ფილმის გარშემო, აწყობენ შეხვედრებს ცნობილ სპორტსმენებთან.

ყოველწლიურად, სკოლის დაარსების დღეს, რესპუბლიკურ სტადიონზე ნორჩი ტანმოვარჯიშეები თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მრავალათასიან მაყურებელს.

ბოლო დროს შაგინიანს სპორტულ სკოლაში უწინდელივით ხშირად ვედარ ნახავთ. ახლა იგი სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა და რესპუბლიკის მთელს სპორტულ ცხოვრებას უძღვება. მაგრამ შაგინიანი არ სწყვეტს კავშირს თავის ყაყვარელ საქმესთან. როგორც კი წაატყობს, რომ ყოლის შეიძლება აღსაზრდელს, სპორტის ოსტატი იქნება ეს, თუ ახალბედა ტანმოვარჯიშე, უპირს, ან, უბრალოდ, რაღაც არ გამოსდის, შაგინიანი ყველა საქმეს თავს ანებებს და სკოლაში მიდის, რათა თავად გადაეკვნოს თვალი მეცადინეობას და შანამ არ დამშვიდდება, სანამ არ დარწმუნდება, რომ აღსაზრდელი ისე ეარჯიშობს, როგორც საჭიროა. როცა შაგინიანი მეცადინეობას ესწრება, ნორჩებს ყველაფერი გაცილებით უკეთ გამოსდით. ალბათ სახელმოხვეჭილი სპორტსმენის დასწრებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ეფექტი მოქმედებს.

სომხეთის სპორტული ტანვარჯიშის განვითარებაში „შაგინიანის სკოლის" როლსა და მნიშვნელობაზე ციფრები მეტყველებენ. სკოლის დაარსების დღიდან ოცზე მეტი მისი აღსაზრდელი სპორტის ოსტატი გახდა, ორმოცზე მეტმა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. სომხეთის ქალთა ტანვარჯიშის ისტორიაში პირველად სკოლის აღსაზრდელი ტიგრანუი ტერ-ფეკასიანი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. რუბენ მიქაელიანი და ვალერი პირობეტიანი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან.

1971 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში სომხეთის გუნდმა, რომელიც უმეტესწილად ერევნის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა სკოლის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული, IV ადგილი დაიკავა და გაუსწრო ოსტატებს ისეთი სპორტული რესპუბლიკებიდან, როგორიც არიან უკრაინა, ბელორუსია, საქართველო.

— თხუთმეტი წლის წინ, — ამბობს გ. შაგინიანი, — მსურდა, რომ ჩვენი ქალაქის რაც შეიძლება მეტ ბიჭსა და გოგოს შეაყვარებოდა ტანვარჯიში და ვოცნებობდი მაღალი კლასის ხუთი-ექვსი ოსტატი მომემზადებინა. როგორც ვიდავთ, რეალობამ ოცნებას გადააჭარბა.

შეიძლება დავუმატოთ, რომ სკოლის აღსაზრდელები უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შემდეგ, როგორც წესი, ტანვარჯიშს თავს არ ანებებენ — ჯარჯიშობენ ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებში, პოპულარიზაციას უწევენ ტანვარჯიშს და ხელს უწყობენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას საბჭოთა სომხეთში.

ვ. თავრიზიანი.

ერევანი.

აი, ეს საქმეა!

ერთი თვე დაჰყო ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებელთა ჯგუფმა (უფროსი მასწავლებელი ს. კორძაია, ჯ. სანიკიძე და ე. ინასარიძე), რომლის მიზანი იყო ფიზკულტურული პაუზების ფართოდ დანერგვა ჩაის მკრეფავ ქალებში და საწარმოო ტანვარჯიშის სპეციალური კომპლექსების შედგენა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" მექანიზატორებისთვის.

ჩატარებული იქნა 120 ფიზკულტპაუზა და 25-ჯერ საწარმოო ტანვარჯიში ს

პიდევ ერთი გამარჯვება

ქალთა XX საპადრაკო ოლიმპიადის წინასწარ ჯგუფებში II ტურის შეხვედრები გაიმართა. სსრ კავშირის გუნდმა სძლია დანიის მოჭადრაკეებს — 3,5:0,5. სმისლოვმა მოუგო ხამანს, ტალმა — იაკობსონს, კარპოვმა — სლოტს. საკონ — ხოდმის პარტია კი ყაიმით დამთავრდა.

საბჭოთა მოჭადრაკეები 7,5 ქულით ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში.

ფინალში გასვლის შანსი აქვთ, აგრეთვე, უნგრეთის, გფრ-ისა და იუგოსლავიის გუნდებს. II ტურში უნგრელებმა მოუგეს მაროკოს ნაკრებს (4:0), გერმანელებმა — ისლანდიელებს (2,5:0,5, 1 პარტია გადაიდო), იუგოსლავიელებმა — კიპროსის გუნდს (4:0).

ბულგარეთის ძლიერმა კოლექტივმა ანგარიშით 2,5:1,5 სძლია ავსტრალიის ნაკრებს. ბობოკოვ — ბრაუნის შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ოლიმპიადის ირგვლივ

სიფრთხილეს თავი არ სტკივა

საპადრაკო ოლიმპიადის ორგანიზატორებმა მიუნჰენის ტრაგედიის გამეორების შიშით მოჭადრაკეებს უჩვეულო პირობები შეუქმნეს. ძალიან ძნელია ოლიმპიურ ხოფელში მოხვედრა არამცთუ ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკისთვის, არამედ მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვისაც კი: საჭიროა მთელი დასტა საბუთების წარდგენა.

რეიკიავიკიდან... ნიუ-იორკში

ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ფიშერი რეიკიავიკიდან ხოპლეს ნაცვლად გაემგზავრა... ნიუ-იორკში. გაზეთები წერენ, ამ დღეებში მას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიიღებსო.

ოლიმპიადის მასპინძლებმა კი გაითვალისწინეს ფიშერის რელიგიური გატაცება და მისთვის შელოცვები გაიკეთეს: პარასკევსა და შაბათს თამაშის დაწყების დრო შეცვალეს. ფიქრობენ, რომ ამერიკელი დიდოსტატი ფიდე-ს კონგრესზე ჩავა, მაგრამ თავისი ქვეყნის გუნდში ალბათ ვერ ითამაშებს, რაკი აშშ-ს ფედერაციის განაცხადში ფიშერის გვარი შეტანილი არ არის.

სპასკისაც ელოდნენ

იუგოსლავიის პრესა სპასკი—ფიშერის მატჩის დროს ხშირად წერდა, სკოპლეში სპასკიც ითამაშებსო. მაგრამ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა განაცხადა, რომ ძალიან დაღლილია. ამიტომ იგი ახლა მოსკოვის მახლობელ ადგილზე ისვენებს.

ლიუბლიანის მაგისტრატმა ითავა

ტრადიციულად, ოლიმპიადის დღეებში მასპინძელ ქვეყანაში ფიდე-ს მორიგი კონგრესი გაიმართება. ამჯერად იგი 25 სექტემბერს დაიწყებს მუშაობას სკოპლეში, მაკედონიის სახალხო რჩეულთა ვრცელ კლუბში. ლიუბლიანის მაგისტრატმა ითავა გენერალური ასამბლეის მუშაობა ხუთ ენაზე წარმართოს და საამისოდ კონგრესს ხათანადო ტექნიკით უზრუნველყოფს.

კონგრესი ყოველდღე ექვს საათს იმუშავებს.

ორი პრიზიორი თბილისიდან

ხარკოვში გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირში განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს უროს მტყორცნელებმა — ოთხმა სპორტსმენმა 70-მეტრიან ზღვარს გადააცილა. ჩემპიონი გახდა მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვ. ხმელევსკი (რსფსრ) — 73,16 მ. თბილისელმა ჯ. ფხაკაძემ II ადგილი დაიკავა — 72,40 მ. მან 38 სანტიმეტრით აჯობა III ადგილზე გასულ ა. მალიუკოვს (მოსკოვი).

ჩვენი რესპუბლიკის დინამოელთაგან საარიზო ადგილზე გავიდა ვეტერანი ლამარა ტუღუშიც, რომელმაც ბადროს ტყორცნაში III ადგილი მოიპოვა — 52,23 მ.

პირველი მისაპარი — „შრომითი რეზერვები“

სერებრიანი ბორის მიდამოებში დამთავრდა წყალსამოტორო სპორტში სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება. ტურნირის პროგრამაში იყო სკუტერებითა და ძრავიანი ნავებით 5 მილზე, აგრეთვე, კატარღებითა და გლისერებით 10 მილზე რბოლები. მონაწილეთ 33 ცდის უფლება ჰქონდათ.

250 კგ-ს ძრავიანი ნავებით რბოლა მოიგო მოსკოველმა ა. ქიროვმა, „350-ანებით“ კი ყველას აჯობეს „კალევის“ გუნდის წევრებმა ა. რაუდვამ და თ. ხაგემ, რომლებმაც შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს.

1500 კგ-ს მოცულობისძრავიანი კატარღებით შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ისაკოვმა („შრომითი რეზერვები“) საათში 175,987 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო და გაიმარჯვა.

თასი „შრომითი რეზერვების“ ნაკრებმა დაისაკუთრა.

დარბაზები სკოლებში

სოფელ ქვაბეულის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს: სკოლას სპორტდარბაზი მიუშენდა. ამ საქმეში სკოლას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ვეტერანმა პირველთანრიგოსანმა კალათბურთელმა კ. სადაღაშვილმა.

ახალ დარბაზში უკვე გაიმართა შიდასასკოლო შეჯიბრება კალათბურთში.

ბ. მთვარელიძე,
გორის რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.

* * *

სოფელ საირხის საშუალო სკოლამ მიიღო ახალი დარბაზი, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ აქ სრულიად არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი.

ახალი სასწავლო წელი, მოგეხსენებათ, უკვე კარგა ხანია დაიწყო და საჭიროა ამ საქმის დროულად მოგვარება.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).
საჩხერის რაიონი.

ასპარეზ აჯანყებულ-72

● **ქამარ-სიურ-მეი** (ვოკლიუზის დეპარტამენტი), 20 სექტემბერი. საფრანგეთის ამ პატარა ქალაქმა მოტობურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ციხის გათამაშების ფინალურ ეტაპს უმასპინძლა. გადამწყვეტ მატჩში ადგილობრივმა გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი — ელისტის „კომეტა-ავტომობილისტი“. გამარჯვების გოლი მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე გაიტანეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი „ფიურმერსჰაინი“, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (0:1) წაგო შეხვედრები საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდებთან.

● **რიგა, 21 სექტემბერი.** ლატვიის დედაქალაქის სპორტის სასახლის ტრადიციული პრიზი ამჯერად მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ჰოკეისტებმა მოიპოვეს, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში რიგის „დინამოს“ სძლიეს — 4:1. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, სარატოვის „კრისტალი“, სვერდლოვსკის „ავტომობილისტი“ და რიგის ვაგონაშენი ქარხნის გუნდი.

ისევ მუჭამედ ალი!

საკავშირო ტელევიზიამ დიდებული საქმე გააკეთა: სპორტის მოყვარულთა მრავალმილიონიან არმიას მძიმეწონიანი პროფესიონალი მოკრივეების, მსოფლიოს ექს-ჩემპიონების, ამერიკელი ზანგების მუჰამედ ალისა და ფლოიდ პატერსონის ორთაბრძოლა აჩვენა.

ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე 20 სექტემბერს უაღრესად დრამატული ბრძოლა გაიმართა. ალისთვის ეს შეხვედრა ბოლო ზღუდე იყო მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონთან ჯო ფრეზიერთან მატჩ-რევანშის გზაზე.

პირველ ოთხ რაუნდში (ორთაბრძოლის ფორმულა 15 რაუნდი იყო) პატერსონი აქტიურობდა და მაყურებელი მრავალფეროვანი, მდიდარი ტექნიკური არსენალით მოხიბლა. ალი ბრძოლის გამწვავებას არ ცდილობდა და, როგორც სჩვეოდა, მომდევნო რაუნდებისთვის ინახავდა თავს. მეხუთე რაუნდში იგი „ხაქმეს შეუდგა“ — ერთბაშად გადავიდა იერიშზე და რამდენიმე მძიმე დარტყმა აგემა მეტოქეს. მეექვსე რაუნდში პატერსონი წაგებისგან მხოლოდ გონგმა იხსნა, მეშვიდე რაუნდში კი ალის მოსხლტილმა დარტყამამ წარბი გაუხეთქა და ექიმმა პატერსონს ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცა.

ამრიგად, ალიმ ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

ბრძოლას ფრეზიერიც ეხწრებოდა. მატჩის წინ მან პირდაპირ რინგზე მოკლე ინტერვიუ მისცა ტელეეფურნალისტებს. შეხვედრის შემდეგ ფრეზიერის მწვრთნელს იანსი დურამს „ამერიკის შეერთებულ შტატებში „ინვესტიციის“ ხაკუთარმა კორესპონდენტმა მ. სტურუამ ჩაპართვა ინტერვიუ. დურამმა თქვა, რომ ალის სპორტულმა ფორმამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შეკითხვაზე — მაინც როდის გაიმართება განმეორებითი „ხაუკუნის მატჩი“, დურამმა უპასუხა: „ხადღაც მომავალი წლის შუაგულში“.

ფეხბურთი-72

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ჯაჭვიჯი, ბოლქჯი

გუშინწინ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „სპარტაკი“.

არმიელებმა ამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანეს და წლევანდელ ჩემპიონატში მე-14 გამარჯვება იზეიმეს. შესანიშნავად ითამაშა ფედოტოვმა. 55-ე წუთზე სწორედ მისგან მიიღო კარი გადაცემა დოროფეევმა და ზუსტადაც დაარტყა.

66-ე წუთზე ბულგაკოვს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა, როცა მსაჯმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა არმიელთა კარში. მაგრამ სპარტაკელმა ერთობ უხეიროდ დაარტყა და ბურთს იოლად დეეუფლა არმიელთა მეკარე ასტაპოვსკი.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ფედოტოვმა მე-300 მატჩი ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატებში.

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი

მოსკოვში მიიწურა სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის შემვედრები წინასწარ ჯგუფებში. გთავაზობთ ბოლო ტურის ორი მატჩის წედეგებს: „ამონკანი“ (კსდრ) — „დინამო“ (გდრ) 3:1, „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) — „გვარდია“ (პოლონეთი) 1:1.

ჯერჯერობით ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა: I ჯგუფი. სსრ კავშირი — 4 ქულა (2 თამაშიდან), რუმინეთი — 4 (2-დან), „ამონკანი“ — 2 (3-დან), „დინამო“ (გდრ) — 0 (3-დან). II ჯგუფი. „დოჟა“ (უნგრეთი) — 4 (2-დან), „სპარტაკელეფსკი“ (ბულგარეთი) — 2 (2-დან), „რუდა გვეზდა“ — 2 (3-დან), „გვარდია“ — 2 (3-დან).

თასეგის მფლობელთა თასზე

როგორც 17 სექტემბრის ნომერში ვიუწყებოდით, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების რამდენიმე მატჩი მოვვიწნებით უნდა გამართულიყო. და აი, მეთექვსმეტედფინალის პირველი წრის შეხვედრაში „მალანმა“ (იტალია) ანგლოიშით 4:1 დამარცხა „რედ ბოისი“ (ბელგია).

ამ სპატიო პრიზის გათამაშების მერვედფინალში პირველი გავიდა დუბლინის „ჰიბერნიენსი“ (ირლანდია), რომელმაც სტუმრადაც სძლია კიპროსის „პეზოპორიაოსს“ — 2:1 (პირველ მატჩში — 4:1).

„ტვენტეს“ გამარჯვება

აი, როგორ აქვთ საქმე საბჭოთა გუნდების მეტოქეებს

მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოს“ უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის პირველი წრის საპასუხო მატჩი ელის 27 სექტემბერს ჰოლანდიის ქალაქ ენსხედეში. თბილისიდან გამგზავრების შემდეგ „ტვენტემ“ თავისი ქვეყნის პირველობაზე მორიგი კალენდაოული მატჩი ჩაატარა — სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ნიმეგენი“ და გათამაშებია ცხრილში III ადგილს ინარჩუნებს.

ასევე გიმარჯვა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქემ — ბაგის ადო-მ. მან ანგარიშით 1:0 სძლია დევენტერის „გო ეჰედს“.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს“ მეტოქემ —ინსბრუკის „სვაროვსკი ვაკერმა“ ავსტრიის ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა — ანგარიშით 5:0 დაამარცხა ვენის „ადმირა“.

უეფა-ს თასის ისტორიიდან

ამ შეჯიბრების გამართვის იდეა პირველად 1955 წელს გამოთქვა ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ტომენმა (შვეიცარია). მანვე ფიფა-ს ცნობილ ნოლვაწეებთან როუზთან (ინგლისი) და ბარასისთან (იტალია) ერთად შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი ტურნირისა, რომელმაც ოფიციალურად მიიღო სახელწოდება: „ბაზრობათა ქალაქების თასი“.

საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა საასპარეზოდ დაეშვა ბაზრობათა მომწყობი ქალაქების ნაკრები გუნდები და მატჩები ბაზრობის დღეებში ჩატარებინა. მაგრამ ეს განუჯრიელებელი დადგენილება იყო იმიტომ, რომ ბაზრობა სხვადასხვა დროს იმართებოდა. შემდეგ გადაწყდა სათამაშოდ დაეშვათ საკლუბო გუნდები, თანაც აუცილებელი არ ვახლდათ ეს კოლექტივები ბაზრობის მომწყობი ქალაქებიდან ყოფილიყვნენ.

ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს ამ ტურნირში მონაწილეობის კანდიდატების დასახელება დაევალათ. დებულება ითვალისწინებდა თითოეული ქვეყნიდან არა უმეტეს 4 გუნდის მონაწილეობას. თანაც, მონაწილეთა რიცხვმა ბოლო გათამაშებაში 64-ს მიაღწია, თუმცა თავდაპირველად ბევრად მეტი მსურველი იყო (1970-71 წლების გათამაშებაში — 96 განაცხადი).

ბაზრობათა თასის გათამაშების მონაწილეთა რაოდენობა მუდამ აღემატებოდა ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში მოასპარეზეთა რიცხვს.

პირველი ტურნირის ორგანიზაცია ნაკლებად სრულყოფილი იყო. გათამაშება 1955 წელს დაიწყო და 1958 წელს დამთავრდა. მხოლოდ 1960 წლიდან მიიღო ტურნირმა მწყობრი სახეობა. შეჯიბრება ერთი წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე იწყებოდა და შემდეგი წლის მაისში ან ივნისში მთავრდებოდა.

პირველი გათამაშების სტარტი ქალაქების ნაკრებმა კოლექტივებმა აიღეს, ხოლო ფინიშთან მივიდნენ... საკლუბო გუნდები. ფინალში გავიდნენ „ჩელსი“ და „ბარსელონა“, მაგრამ ფორმალურად ისინი იცავდნენ არა თავიანთი კლუბების, არამედ ქალაქების ლონდონსა და ბარსელონის ღირსებას. თასის პირველი მფლობელნი ეჩანენ ფეხბურთელები გახდნენ.

1966 წლიდან თვალსაჩინო ხდება უპირატესობა ინგლისის გუნდებისა, რომლებმაც ექვსი ფინალური შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგეს.

ტურნირის პოპულარობა წლითიწლობით იზრდებოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მონაწილეთა სიძლიერით უნდა აიხსნას. ფაქტიურად, ტურნირმა დაკარგა ყოველგვარი კავშირი ბაზრობებთან, რამაც გათამაშების სისტემაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია.

1971 წლიდან ბაზრობათა თასის ნაცვლად გუნდები უეფა-ს თასს ეცილებიან ერთმანეთს. უწინდელი პრიზი — ბაზრობათა თასი — 1971 წლის შემოდგომაზე სამუდამოდ ჩაიბარა მისმა პირველმა მფლობელმა „ბარსელონამ“, ვინაიდან მან ამ ჯილდოს ბოლო (1970-71 წ.წ.) მფლობელი „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხა ანგარიშით 2:1.

უეფა-ს თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა, რომ, როგორც ბაზრობათა თასის გათამაშებაში, მონაწილეთა რაოდენობა აქაც არ უნდა აღემატებოდეს 64-ს. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ ქვეყნების გუნდებს, რომლებიც ფიფა-ს წევრები არიან. ამასთან, მონაწილეთა რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საკლუბო გუნდების მიღწევებზე ამ ტურნირში. მაგალითად, 1971-72 წლების გათამაშებაში დაშვებული იყო 4-4 გუნდი ინგლისიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და დასავლეთ გერმანიიდან (ის კლუბები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატებში II-IV ადგილები დაიკავეს), 2-2 — ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და სხვა სახელმწიფოებიდან. იმ ქვეყნებმა, რომლებიც უწინ ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ (მათ შორის, საბჭოთა კავშირმა), თითო ადგილი მიიღეს.

შარშანდელ გათამაშებაში პირველმა საბჭოთა გუნდმა — მოსკოვის „სპარტაკმა“ ოცდამეთორმეტედფინალის ორი თამაშის ჯამში სძლია ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს ვეს-ს (2:0, 1:2), მაგრამ მეთექვსმეტედფინალში სასტაკად დამარცხდა პორტუგალიის ქალაქ სტუბალის „ვიტორიასთან“ — 0:0, 0:4.

უეფა-ს თასის გათამაშების კენჭისყრისას მიმართავენ უძლიერესთა განთესვის პრინციპს. გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ერთი ქვეყნის გუნდები მეოთხედფინალამდე არ შეხვდნენ ერთმანეთს. ტურნირის რეგლამენტი იგივეა, რაც ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებისა. გუნდები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს: შინ და გარეთ. გამარჯვებულია ის, ვინც ორი თამაშის ჯამში მეტ გოლს გაიტანს. ბურთების ტოლობის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელმაც სტუმრად მეტი გოლი გაიტანა. თუ ეს შედეგებიც ერთნაირია, მეორე მატჩში ინიშნება დამატებითი 30 წუთი და თუ გამარჯვებული ამჯერადაც არ გამოვლინდა, გუნდებმა ერთ-ერთის გამარჯვებამდე 5-5 პენალტი უნდა დაარტყან.

საინტერესოა გავეცნოთ თასის მფლობელებსა და ფინალისტებს:

I გათამაშება. 1955-58 წ.წ. 10 მონაწილე.

ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ჩელსი“ (ლონდონი, ინგლისი) 2:2, 6:0.

II გათამაშება. 1958-60 წ.წ. 16 მონაწილე.

ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) 1:1, 4:1.

III გათამაშება. 1960-61 წ.წ. 15 მონაწილე.

ფინალი: „რომა“ (იტალია) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) 2:2, 2:0.

IV გათამაშება. 1961-62 წ.წ. 28 მონაწილე.

ფინალი: „ვალენსია“ (ესპანეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 6:2, 1:1.

V გათამაშება. 1962-63 წ.წ. 32 მონაწილე.

ფინალი: „ვალენსია“ (ესპანეთი) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) 2:1, 2:0.

VI გათამაშება. 1963-64 წ.წ. 32 მონაწილე.

ფინალი: „სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 2:1.

VII გათამაშება. 1964-65 წ.წ. 48 მონაწილე.

ფინალი: „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 1:0.

VIII გათამაშება. 1965-66 წ.წ. 48 მონაწილე.

ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 0:1, 4:2.

IX გათამაშება. 1966-67 წ.წ. 48 მონაწილე.

ფინალი: „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 2:0, 0:0.

X გათამაშება. 1967-68 წ.წ. 48 მონაწილე.

ფინალი: „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:0, 0:0.

XI გათამაშება. 1968-69 წ.წ. 64 მონაწილე.

ფინალი: „ნიუკასლ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „უიპეშტ დოჯა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0, 3:2.

XII გათამაშება. 1969-70 წ.წ. 64 მონაწილე.

ფინალი: „არსენალი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 1:3, 3:0.

XIII გათამაშება. 1970-71 წ.წ. 64 მონაწილე.

ფინალი: „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:2, 1:1 (ინგლისელებმა გამარჯვეს მეტოქეთა მინდორზე გატანილი ორი გოლის წყალობით).

XIV გათამაშება. 1971-72 წ.წ. 64 მონაწილე.

ფინალი: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ (ინგლისი) 2:1, 1:1.

მაშასადამე, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ უეფა-ს თასის პირველი მფლობელი ეახლა.

ჯ. ჩაჩავა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.





ფყვილები ახალია, გვარები კი ძველი...

ბაუხულის მცხუნვარე დღეებში, როცა ზამთარზე არავინ ფიქრობს, ფიგურული ციგურაობის ოსტატები უკვე შეუდგნენ მომავალი სპორტული სეზონისთვის მზადებას. ამჯერად მათ ბევრად უფრო ადრე დაიწყეს ვარჯიში, არც ოლიმპიურ წელიწადს გამოსულან ყინულზე ახე ადრე. ამას თავისი ახსნაები აქვს. მთავან მთავარი კი ის გახლავთ, რომ, თუმცა უძლიერესი სპორტსმენების გვარები იგივე დარჩა, დუეტებმა დიდი ცვლილებები განიცადეს.

მაინც ვის ვნახავთ ყინულზე ახალ სეზონში?

საპოროს ოლიმპიური თამაშები დამთავრდა თუ არა, დაქორწინდნენ ა. ულანოვი და ლ. სმირნოვა. ულანოვის ყოფილმა პარტნიორმა ი. როდნინამ დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ახალი სეზონისთვის ლენინგრადელ ა. ზაიცევთან ერთად მოემზადოს. ალბათ გახსოვთ, ზაიცევი სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ფიგურისტი იყო ერთეულთა თანრიგში, დანარჩენ ზემოდასახელებულ სპორტსმენებს კი დახასიათება არ სჭირდებათ.

ახალი პარტნიორი აირჩია ა. სურაიკინმაც — სმირნოვას ყოფილმა თანამეწყვილემ. ახლა იგი ცნობილი „ეული“ ფიგურისტის ი. ოვჩინიკოვის დასთან ნატაშასთან ერთად ითასპარეზებს.

ამრიგად, სიყვარულის ნებით ორი დუეტიდან — მსოფლიო მასშტაბის ოქროსა და ვერცხლის წყვილებიდან სამი ახალი წყვილი დაიბადა.

* * *

სურათებზე: ნ. ოვჩინიკოვა და ა. სურაიკინი ახალი კომპოზიციის შესწავლისას; ი. როდნინა (ცენტრში), ა. ზაიცევი და ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ე. ალექსანდროვა ვარჯიშიდან ბრუნდებიან.

ვ. გალაკტიონოვის ტექსტი და ფოტოები.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭაჭავაძის პრ. № 74)



24 სექტემბერი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02674